საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

16/12/2025

MES 9 25 0001789723

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგა ნმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და

დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 აგვისტოს №1010438 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" საბაკალავრო, "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "კიბერუსაფრთხოების" სამაგისტრო, "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო და "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, თუმცა 1.2 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია დააკორექტირა შემდეგნაირად:

“რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს თითოეული პროგრამის სწავლების შედეგს, რათა უზრუნველყოს მათი სრული შესაბამისობა კურსდამთავრებულების საჭიროებებთან.“

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 2 დეკემბრამდე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" საბაკალავრო, "კიბერუსაფრთხოების ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "კიბერუსაფრთხოების" სამაგისტრო, "კიბერუსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო და "ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 16 დეკემბრის სხდომის №1789691 ოქმის №1 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს თითოეული პროგრამის სწავლების შედეგებს, რათა უზრუნველყოს მათი სრული შესაბამისობა კურსდამთავრებულების საჭიროებებთან;
2. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს, რეკომენდებულია გადაიხედოს ექვსივე პროგრამის კურიკულუმის რუკები;
3. დარგობრივ მახასიათებელთან და ACM მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, „მათემატიკური სტატისტიკა" გადავიდეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში;
4. კვლევითი და ანალიტიკური კომპონენტების გაძლიერების მიზნით, რეკომენდებულია, პროგრამაში დაინერგოს კურსი " კვლევის მეთოდები" ან მისი ეკვივალენტი;
5. რეკომენდებულია, კურსი „კიბერუსაფრთხოების ანალიზი" არჩევითიდან გადავიდეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში;
6. რეკომენდებულია შეიცვალოს გარკვეული კურსების (მაგალითად, CYBR5002 და CYBR5004) სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა მათში აისახოს სამაგისტრო დონეზე მოსალოდნელი ანალიტიკური და გამოყენებითი უნარები;
7. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები სპეციალური გამოცდის სათანადოდ ჩატარება. გარდა სამოტივაციო გასაუბრებისა, რეკომენდებულია, გამოცდით შეფასდეს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა არჩეული სპეციალობის შესაბამის სფეროში;
8. რეკომენდებულია, რომ მაგისტრატურის დებულებაში მკაფიოდ და წერილობით განისაზღვროს რამდენი მაგისტრანტის აყვანის უფლება აქვს ხელმძღვანელს ერთდროულად. ამჟამად მაგისტრატურის დონეზე ოთხი ხელმძღვანელია;
9. საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი „პერსონალის დებულების“ თანახმად, აკადემიური თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც ბაკალავრის ხარისხიც კი არ აქვს. რეკომენდებულია, გადაიხედოს დებულების ეს პუნქტი და განისაზღვროს აკადემიური პოზიციის დასაკავებლად აუცილებელი მინიმალური აკადემიური ხარისხი;
10. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს შესაბამისი დარგის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 2 დეკემბერს.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 2 დეკემბერი.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან